ვის: საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას (ბაფ)

ვისგან: მიხეილ აბაიაძე

საგანი: ბაფ-ის გამგეობის წევრობაზე კანდიდატად დარეგისტრირება

თარიღი: 8 დეკემბერი 2022 წელი

გაცნობებთ, რომ

- გახლავართ ბაფ-ის წევრი ბოლო 16 წელია;
- არ მაქვს დარღვეული ბაფ-ის დებულებით გთვალისწინებულ მოთხოვნები;
- ვიცნობ ბაფ-ის წესდებას, მიმდინარე და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას;
- ვაცნობიერებ ბაფ-ის წინაშე არსებულ გამოწვევებს;

გამოვხატავ სურვილი გავხდე საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი.

შესაბამისად გთხოვთ დამარეგისტრიროთ გამგეობის წევრობის კანდიდატად.

არჩევის შემთხვევაში

- გავაგრძელებ ხელს შევუწყობას პროფესიული ბაზრის განვითარებას ბაფ-ის როგორც კორპორატიული ასევე ინდივიდუალური წევრებისათვის;

მიშა აბაიაძე

გამგეობის წევრობის კანდიდატი,

ვითვალისწინებ რა იმ ვალდებულებებს, რომლებიც ეკისრება საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრს და ვითვალისწინებ რა ჩემს გამოცდილებას ამ სფეროში, გთავაზობთ ჩემს კანდიდატურას ბაფის გამგეობაში წევრობაზე.

წარმოგიდგენთ ჩემი პროფესიული უნარ-ჩვევების შესახებ
მოკლე ინფორმაციას:

დაბადებული ვარ ქ. თბილისში, 1980 წლის 18 თებერვალს. ვარ დაოჯახებული, მყავს ორი შვილი. გავლილი მაქვს ლიდერთა სკოლის პროგრამა მანჩესტერის უნივერსიტეტში. დღეისათვის ვემზადები სადოქტორო ნაშრომის დასაცავად მას შემდეგ, რაც დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი და მომენიჭა წარჩინებული ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი. ვარ სერთიფიცირებული აუდიტორი და პროფესიონალი უძრავი და მოძრავი ქონების შემფასებელი.

მაქვს 22 წლიანი გამოცდილება პროფესიული მომსახურების და პედაგოგიური საქმიანობის სფეროში, მათ შორის:

- 9 წელი- აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, Moore abc (ყოფილი Morison Georgia, LLC), დირექტორი/პარტნიორი; 60 თანამშრომლის ხელმძღვანელი;
- 5 წელი - აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, UBC International, LLC; სპეციალისტთა გუნდის წევრი და ლიდერი; სხვადასხვა თანამდებობები;
- 8 წელი - საერთაშორისო აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია PKF UBC Services, LLC, აღმასრულებელი დირექტორი / პარტნიორი; 40 თანამშრომლის ხელმძღვანელი;
- 5 წელი - პროფესორის ასისტენტი - პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროფესიული კარიერის მანძილზე წარმატებით ვუძღვებოდი აუდიტორულ, საბუღალტრო, იურიდიულ-საგადასახადო, საშემფასებლო, საინვესტიციო, კორპორატიული განვითარების და სხვა ბიზნეს-საკონსულტაციო პროექტებს როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი ბიზნესის დაკვეთით.

ვარ შემდეგი პროფესიული ორგანიზაციების წევრი:

- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი და ამავე ფედერაციის საწევრო კომიტეტის თავმჯდომარე (2010–2016, www.gfpaa.ge);
- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი და ამავე ფედერაციის ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე (2016–2022, www.gfpaa.ge);
- საქართველოს დამოუკიდებელ შემფასებელთა საზოგადოების პირველი ვიცე პრეზიდენტი და საბჭოს წევრი (www.ivsg.ge);

გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში, მიღებული ცოდნით და პროფესიული გამოცდილებით მზად ვარ ჩვენს კოლეგებთან ერთად განვაგრძო წვლილს შეტანა ორგანიზაციის წარმატებაში და პროფესიის განვითარებაში, ამავე დროს ხელი შევუწყო პროფესიული ბაზრის განვითარებას ბაფ-ის სახელით.

პატივისცემით,

მიშა აბაიაძე

MOORE

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia
T +995 32 2 000 123
E info@moore.ge
www.moore-georgia.ge

8 დეკემბერი, 2022

სარეკომენდაციო წერილი

ბატონო/ქალბატონო

მე გახლავართ თეონა აბდუშელიშვილი-ბროძელი, Moore abc – პარტნიორი (Moore Global-ის წევრი საქართველოში). წერილს გწერთ მიხეილ აბაიაძის რეკომენდაციისთვის, რომელსაც ვიცნობ უკვე 4 წელია. ის მუშაობს შპს Moore abc-ში 2013 წლიდან როგორც გარიგების პარტნიორი.

ბატონი მიხეილი გახლავთ მაღალკვალიფიციური და თავისი საქმისადმი თავდადებული აუდიტორი და ბუღალტერი. კომპანიაში მისი საქმიანობის სფერო იყო აუდიტი და სხვა მარწმუნებელი გარიგებები ასევე გარკვეული საშემფასებლო პროექტები, სადაც მან შესანიშნავი მარალკვალიფიციურობა გამოამჟღავნა ექპერტის დარგში. მას გააჩნია პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და ყოველთვის ასრულებს თავის მოვალეობებს დროულად, იმდენად რამდენადაც გათვიცნობიერებული ქონდა მისი როლი კომპანიაში.

ბატონი მიხეილი არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული პიროვნება, რომელმაც ზუსტად იცის რა უნდა და აკეთებს ყველაფერს დასახული მიზნების განსახორციელებლად. ის ყოველთვის ცდილობს გაამდიდროს ცოდნა და გამოცდილება და იყენებს ყველა შესაძლებლობას რათა უზრუნველყოს კლიენტები მომსახურების მაღალი ხარისხით. მისი არჩევა ბაფ-ის გამგეობის წევრად იქნება მშვენიერი შესაძლებლობა მან გამოამჟღავნოს თავისი ცოდნა აღნიშნულ პოზიციაზე.

იგი გახლავთ თავისი საქმის ერთგული და ენთუზიაზმით სავსე, რომ გამოიყენოს წლების განმავლობაში პროფესიულ კარიერაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება.

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ.

პატივისცემით,

თეონა აბდუშელიშვილი-ბროძელი

პ/ნ 01016007950

ტელ: 558506006

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.